მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ქალები (ჭიათურა)[1]

ანი ნიქაბაძე, ნათია ქარჩილაძე

აბსტრაქტი

სტატიაში მიმოხილულია მძიმე მრეწველობაში (ჭიათურაში, `ჯორჯიან მარგანეზში") დასაქმებული ადამიანების პრობლემები და ყურადღება გამახვილებულია მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ქალების პრობლემებსა და საჭიროებებზე. დიდი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, ქართულ მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს კვლევა ჯერ კიდევ არ დაწყებულა, განსაკუთრებით სუსტად ისმის მუშა ქალთა ხმა. `ჯორჯიან მანგანეზში" დასაქმებულთა განაწილება გენდერის მიხედვითაა კონსტრუირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული სფეროები, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი სამუშაო პირობებია, ქალებისთვის დახურულია. აღსანიშნავია ისიც, რომ გაფიცვების მიუხედავად, მაღაროელთა და ქალთა სამუშაო პირობები არათუ გაუმჯობესდა, არამედ გარკვეულ ასპექტებში გაუარესდა კიდეც. სტატია წარმოადგენს მცდელობას, დაიწყოს საუბარი არამარტო ქალთა ანაზღაურებად შრომაზე, არამედ ქალთა საშინაო და უნაზღაურებელ შრომაზეც, რის გამოც მუშა ქალი ორმაგად ექსპლუატირებულია.

საკვანძო სიტყვები: მძიმე ინდუსტრია, დასაქმება, გენდერი, მძიმე საცხოვრებელი და სამუშაო გარემო, მუშა ქალი, (ორმაგი) ექსპლუატაცია, უთანასწორობა, შრომის კოდექსი, მძიმე სოციალური მდგომაროება, ჩაგვრა, გენდერული სეგრეგაცია, საშინაო და აუნაზღაურებული შრომა.

შესავალი

მიმდინარე (2016) წლის განმავლობაში ტყიბულში და სხვა ინდუსტრიულ ქალაქებში (აზრეთში, ჭიათურაში, ზესტაფონში) მუშათა გახშირებულმა გაფიცვებმა, რამაც კულმინაციას თებერვალში მიაღწია, ხაზი გაუსვა ქართულ მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, განსაკუთრებით კი, მძიმე საცხოვრებელ და სამუშაო გარემოს. შესაბამისად, საკითხი მეტად მწვავედ დადგა საზოგადოების წინაშე და აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემები კომპლექსური სახით წარმოაჩინა. ამ თემით მრავალი საინფორმაციო გამოშვება და ადამიანთა უფლებებზე მომუშავე, თუ სხვა პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია დაინტერესდა, თუმცა ამ საყოველთაო ვნებათაღელვისა და გაზრდილი გამოხმაურების მიუხედავად, ქართველი ლურჯსაყელოიანი მუშახელის[2] პრობლემების სიღრმისეული კვლევისათვის ჯერჯერობით სერიოზულად არც ერთ მათგანს მოუკიდია ხელი.

დღესდღეობით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ყოველდღიურად დედამიწაზე რამდენიმე ათასი ლურჯსაყელოიანი მუშახელი სხეულის დაზიანებას ღებულობს, 3 ათასამდეკი – იღუპება. მდგომარეობა სახარბიელო არც საქართველოშია, სადაც სამუშაო პროცესის

დროს გარდაცვლილთა და დაზარალებულთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. გაერთიანებული პროფკავშირების ცნობით, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილზე 202 ადამიანი დაიღუპა, მძიმე საწარმოო ტრავმა კი 447-მა ადამიანმა მიიღო. არაოფიციალურად კი ეს რიცხვი, შესაძლოა, უფრო მეტიც იყოს, რადგან სამსახურის დროს დაშავებულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკას დღემდე არც ერთი უწყება აწარმოებს.[3]

მძიმე მრეწველობის ქართულ საწარმოებში არსებული უკიდურესად მძიმე და ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამუშაო პირობების ფონზე მუშების მიზერული ხელფასი, შრომის ანაზღაურების დაგვიანებით და/ან დაქვითვით დარიცხვა (როგორც ეს 2013 წელს, ჭიათურის შემთხვევაში მოხდა) ცალსახად მიუთითებს ქართულ მძიმე მრეწველობის სექტორში სერიოზული, საკვლევად მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობაზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საკითხებზე საუბარი დაიწყო, მასზე საუბარი მხოლოდ პატრიარქალური პრიზმიდან ხდება. მძიმე მრეწველობაში ჩართული ქალების ხმა ჯერკიდევ სუსტად ისმის. შესაბამისად, არსებობს საშიშროება იმისა, რომ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა პრობლემები წამოიწევს წინ, ხოლო ქალებს თავიანთი აზრის მყარად დაფიქსირების საშუალება არ მიეცემათ. გარდა ამისა, მამაკაცების მიერ გამოყოფილი პრობლემური საკითხები სულაც არ არის რელევანტური ლურჯსაყელოიან ქალთა მდგომარეობის აღსაწერად და შესასწავლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ მძიმე მრეწველობაში არსებული პრობლემების მხოლოდ მამაკაცთა გადმოსახედიდან დანახვა და მათ მიერ დაფიქსირებული პასუხების ამ სფეროში დასაქმებულ ყველა ინდივიდზე გავრცელება, განურჩევლად სქესისა, შეცდომების დაშვებისა და მოვლენების არასწორად წარმოჩენის საფრთხის მომცველია. გარდა ამისა, საქართველოში არსებული პატრიარქალური კულტურისა და რელიგიის გავლენით, ქალები და მათი პრობლემები ხშირად მეორეხარისხოვნად აღიქმება, შესაბამისად, დაუშვებელია ამ ჯგუფის კიდევ ერთხელ უგულვებელყოფა.

მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს (ჭიათურა) კვლევა, რომლის მიხედვითაც სტატია იწერება, მიზნად ისახავდა მძიმე მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების პრობლემების და გენდერული განსხვავებების შესწავლას, თუმცა, ამ ეტაპზე ყურადღება გამახვილდება მძიმე მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა სპეციფიკურ პრობლემებსა და საჭიროებებზე.

ქალები მძიმე მრეწველობაში

მძიმე მრეწველობაში ჩართული ქალების პრობლემების სპეციფიკურობაზე საუბრობს სუსან ჯოეკესი (ჯოეკსი 1995) ნაშრომში „განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობით დაკავებული ქალების ადგილი ინდუსტრიასა და სერვის სექტორში". მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გასული საუკუნის ბოლოსაა დაწერილი, ის კარგად ასახავს შრომის გენდერული დაყოფის მექანიზმებსა და მის გამომწვევ მიზეზებს, ასევე წარმოაჩენს ინდუსტრიულ სექტორში ჩაბმული მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის სპეციფიკურ დილემებს. ხაზგასასმელია, რომ კვლევაში გამოყოფილი მრავალი ფაქტორი აქტუალურობას არც დღეს კარგავს და 21-ე საუკუნის ქართულ რეალობასაც

ეხმიანება. ნაშრომში ქალების დასაქმების მრავალ ასპექტზეა საუბარი, თუმცა ჩვენ ყურადღებას მოცემულიკვლევისთვის რელევანტურ ორ ძირითად პუნქტზე გავამახვილებთ.

ავტორი მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ სოციუმში არსებული გენდერული იერარქია სამუშაო ადგილზეც ვლინდება. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებასა და მათი დასაქმების სპეციფიკაზეც აისახება. მაგალითად, ჩვეულებრივ, ქალებს თავიდან არიდებენ ისეთი სახის სამუშაოს, რომელიც ღამით მუშაობასთანაა დაკავშირებული, რაც ინდუსტრიის უწყვეტ პროცესში მათი დასაქმების შესაძლებლობებს ზღუდავს. ამდენად, ქალი აღიქმება როგორც არსება, რომელსაც მძიმე და საშიში სამუშაოსგან დაცვა სჭირდება, ეს კი მძიმე მრეწველობიდან მის ამოვარდნას იწვევს (ჯოეკსი 1995).

აქედან გამომდინარე, ჯოეკესი ასკვნის, რომ ქალები ნაკლებად კვალიფიციური სამსახურისთვის შესაფერისად მიიჩნევიან, რაც განაპირობებს კიდეც მათ და მამაკაცების ანაზღაურებას შორის სხვაობის არსებობას. ნაშრომში ხაზგასმულია ისიც, რომ მსგავსი ვითარების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სოციალურ რეალობასთან, ანუ სოციუმის მიერაა აგებული და არათერს გვეუბნება მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რეალურ შესაძლებლობებზე. ქალისა და მამაკაცის განსხვავებული, სოციალურად კონსტრუირებული მახასიათებლები განსაზღვრავს დამსაქმებელთა მიერ მათდამი წაყენებული მოთხოვნების ხასიათსაც. „ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნებში, ქალებს სხვადასხვა ცვლაში მუშაობა შეზღუდული აქვთ; აღნიშნული აკრძალვის მიზეზები კი დაკავშირებულია შინმოვლის ვალდებულებებთან და ქალისათვის ღამე მგზავრობის მიზანშეუწონლობასთან" (ჯოეკსი 1995).

მასკულინურ სამუშაო გარემოს ეხება დამასკიც (დამასკი 2011) და ხაზს უსვამს, რომ ქალების მიმართ სტერეოტიპულმა დამოკიდებულებამ, მათთვის წინასწარგანწყობებზე დაფუძნებული იარლიყების მიკვრამ, შესაძლოა, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მასკულინური სამუშაო პოზიციიდან ფემინურისკენ გადასვლას შეუწყოს ხელი. ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ მამაკაცების მიერ დომინირებულ სამუშაო პოზიციებზე, კაცებს დისკრიმინაციული პრაქტიკების, პოლიტიკისა და იდეოლოგიის გაძლიერების მეტი რესურსი აქვთ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გენდერისა და მძიმე მრეწველობის ურთიერთმიმართების ჭრილში უნდა განვიხილოთ, გენდერული როლები და ამ როლებთან დაკავშირებული სოციალური მოლოდინებია. აღნიშნული საკითხი აპელირებს რა ქალზე, როგორც ოჯახის მომვლელ სუბიექტზე, ხოლო მამაკაცზე, როგორც ოჯახის „მარჩენალზე", განსაზღვრავს ქალებისა და კაცების დასაქმების ერთგვარ გენდერულ ნიშას.

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, დავეი (დავეი 2008) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მასკულინური სამუშაო გარემო ქალებს სპეციფიურ მოთხოვნებზე მორგებასა და სოციუმში მამაკაცურად აღქმული თვისებების მთელი ნაკრების გამოვლენისკენ უბიძგებს, რაც შესაძლოა, სულაც არ იყოს რომელიმე კონკრეტული ქალის ნატურის შესაბამისი. აღნიშნული მახასიათებლები, რომლებიც მამაკაცების მიერ დომინირებულ სფეროებში წარმატების მიღწევის გარკვეულ გარანტად მიიჩნევა, მოიცავს ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: აგრესიულობა, გადამეტებული თავდაჯერებულობა, პოლიტიკური თამაშში ჩაბმა და ა.შ.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ. საკვლევი პოპულაცია შედგებოდა ჭიათურასა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მძიმე მრეწველობის საწარმოებში დასაქმებული პირებისაგან. შერჩევითი ერთობა კი 20 რესპონდენტით (10 კაცი, 10 ქალი) განისაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი პოპულაციის გამოკვეთილი ჩარჩო არ გაგვაჩნდა, რესპონდენტები თოვლის გუნდის მეთოდით გამოყენებით შეგროვდა.

კვლევის შედეგები

ზოგადი სიტუაცია დასაქმების კუთხით

ჭიათურაში არსებული დასაქმების პერსპექტივების მიმოხილვისას რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში დასაქმების შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია, ძირითად დამსაქმებელს კი ე.წ. „ტრესტი" წარმოადგენს. აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმება ის კომპანია, რომელსაც მანგანუმის მაღაროები და მასთან დაკავშირებული ქარხნები ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დაწესებულება სამუშაო ადგილებს ქმნის, როგორც თეთრსაყელოიანი[4], ასევე ლურჯსაყელოიანი მუშახელისთვის, ანუ მასში დასაქმებულნი არიან, როგორც მაღალი, ასევე დაბალი კომპეტენციის მქონე პირები. შესაბამისად, აქ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფართო სპექტრია წარმოდგენილი და დასაქმების მსურველნიც ძირითადად ამ მსხვილ დამსაქმებელს მიმართავენ ხოლმე.

> მაღაროში ბევრი განცხადებები შედის იმიტომ, რომ ხალხს დასაქმება არა აქვს და საარსებო თანხა არაა აქვს. შეიძლება სულაც არ სიამოვნებდეს იქ, იმ სიღრმეზე შესვლა და არ იყოს მოწოდებით მაღაროელი, მაგრამ თავისი პირობებიდან გამომდინარე, იგივე ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული ა რომ წავიდეს და იმუშაოს, დაკავდეს იმ სპეციალობით. (ლაბორატორია, ქალი, 33-37 წლის).

> ძირითადად მაღაროებში და ესეთი სამუშაოებში, საბაგიროები და ა.შ. სხვა რა არის, ქარხნები აქ არ არის და ფაბრიკები. ქარხანა რაც არის, ისიც ტრესტისაა და მაღაროც ტრესტსაა, ტრესტი არის ჩვენი ძირითადი დამსაქმებელი ჭიათურაში მთლიანად (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 53-57 წლის).

აღინიშნა ისიც, რომ ჭიათურა ახალგაზრდებისაგან ნელ-ნელა იცლება. ოჯახები ბათუმში, თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში მიდიან საცხოვრებლად, ხოლო სასწავლებლად წასული სტუდენტები იშვითად უბრუნდებიან მშობლიურ ქალაქს.

> ახალგაზრდები ძირითადად, რომ ვთქვა, ჭიათურიდან გარბიან. თავიდან სტუდენტად მიდიან, მიდიან და მერე დაბრუნება აღარავის უნდა. არ არის, იცი, ახალგაზრდების სამსახური ჭიათურაში, რამდენიმე ბანკიკი არის, ვაკანსიაც - ცოტა, მაგრამ ძირითადად არათერია (ლაბორატორია, ქალი, 38-42 წლის).

ჭიათურაში მცხოვრებთა დასაქმების სპეციფიკაში სამუშაოს გენდერული ნიშნით გადანაწილებაც შეიმჩნევა. კერძოდ, რესპონდენტთა ცნობით, ქალები ძირითადად სასწავლო დაწესებულებებში არიან დასაქმებულნი, კაცები - მაღაროებში. მანგანუმის მოპოვებაში ქალები არ არიან ჩაბმულნი, ისინი დასაქმებულნი არიან დამხმარე საწარმოებში, ან ასრულებენ დამლაგებლის, მადნის მრეცხავის ფუნქციებს. მათგან ზოგიერთი კი მაღაროს ზედაპირზე მიმდინარე სამუშაოებშია ჩაბმული. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ისინი ნაკლებად მძიმე სამუშაოს ასრულებენ. მაგალითად, მუშაობენ მძღოლებად და ა.შ (ლაბორატორია, ქალი, 38-42 წლის).

> ქალები ძირითადად ბაზარში დგანან და იქ ვაჭრობენ. ქალაქში ვინც ცხოვრობდნენ, ქალები წავიდნენ სოფელში და ქათამი იყოლიეს, ძროხა იყოლიეს . და ამით ირჩენენ თავს ბევრი უმუშევარი დარჩა (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 53-57 წლის).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე წარმოდგენილი დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა ერთმანეთს უახლოვდება (მაგალითად, 2007 წელს დასაქმებულთა 47,9% ქალები, ხოლო 52,1% კაცები შეადგენდნენ (ქალი და კაცი საქართველოში 2008), დასაქმების სფეროები ჯერ კიდევ განიცდის გენდერის მიხედვით სეგრეგაციას. 2008 წელს ჩატარებულ კვლევაში სახელწოდებით „ქალი და კაცი საქართველოში", რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად ქალებისა და კაცების დასაქმების სპეციფიკის სტატისტიკურ ანალიზს სთავაზობდა მკითხველს, ნათქვამია, რომ საქართველოში, ისეთ სფეროში, როგორიცაა მშენებლობა, მხოლოდ 4,6 ათასი ქალი და 66,5 ათასი მამაკაცია ჩართული. კარდინალურ განსხვავებებს ვხვდებით საგანმანათლებლო სფეროში, სადაც 2007 წელს 103 ათასი ქალი და 21,2 ათასი კაცი იყო წარმოდგენილი. ამავე წელს სამთო მომპოვებით მრეწველობაში (აღნიშნულ დარგს განეკუთვნება ჭიათურის მანგანუმის მოპოვებაც) დასაქმებული იყო 0.4 ათასი ქალი და 4.3 ათასი კაცი .

მაღაროში არსებული სიტუაცია

უშუალოდ მაღაროებში არსებული სიტუაციის დახასიათებამდე რესპონდენტებმა იმ ეტაპების შესახებ ისაუბრეს, რომელთა გავლაც დასაქმების მსურველთათვის აუცილებელია. როგორც აღინიშნა, რთული ეკონომიკური მდგომარეობისა და დასაქმების მწირი შესაძლებლობების გამო, ამ ტიპის სამუშაოზე დასაქმების მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. გარდა ამისა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია წინასწარი მომზადების გავლა, რათა უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იქნას დაცული და საწარმოო ტრავმების რაოდენობა მინიმუმამდე დავიდეს.

დასაქმების სფეროები მანგანუმის მომპოვებელ ქარხნებსა და მასთან დაკავშირებულ ქარხნებში, ზოგადად ქალაქში არსებული სიტუაციის ანალოგიურია და გენდერის მიხედვითაა სეგრეგირებული, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები, ძირითადად, თეთრსაყელოიანი მუშახელის ამპლუაში არიან წარმოდგენილნი, ხოლო მამაკაცები მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ. რესპონდენტთა თქმით, უშუალოდ მაღაროში მხოლოდ მამაკაცები არიან დასაქმებულები, ხოლო ქალები დამხმარე საწარმოებში შედარებით უსაფრთხო სამუშაოს ასრულებენ. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ყველაზე მაღალი ანაზღაურება მანგანუმის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში, თუ მმართველ თანამდებობათა მაღალ ეშელონებს არ ჩავთვლით (რომელთა ანაზღაურებაც

რესპონდენტთა თქმით, რამდენიმე ათეული ათასია), გვირაბგამყვანებს აქვთ. აქკი მხოლოდ მამაკაცები არიან დასაქმებულნი.

> მაქსიმალური ანაზღაურება აქვთ მაღალი კვალიფიკაციის გვირაბგამყვანებს, 800-900 ლარია ხელფასი, მაგრამ არიან ისეთი კატეგორიის ქალბატონები, მაგალითად, სამედიცინო პუნქტში მომუშავეები, რაღაცა ფაბრიკებში, რომლებსაც მინიმალური ხელფასი აქვთ, 273 ლარი. საარსებო მინიმუმიც არ არის, მითუმეტეს, ოჯახები ჰყავთ (მაღარო, მამაკაცი, 48-52 წლის).
>
> საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ძირითადად კაცები მუშაობენ, ქალები ძირითადად მედდებად და ა.შ. (მაღარო, მამაკაცი, 38-42 წლის).
>
> ქარხანაში ქალებიც არიან, მრეცხავებად. მაღაროში შიგნით მომუშავე პერსონალის ანაზღაურება უფრო მაღალია, შრომატევადიც სათანადოდ. დამხმარე საწარმოებშიც უფრო დაბალი ანაზღაურებაა, ვიდრე თვითონ მაღაროებში. არ გვაქვს იმდენი ხელფასი, რაც მაღაროში აქვთ, იმათ დღიური განაკვეთიც მეტი აქვთ. იმათ დღიური განაკვეთი 45 ლარამდე აქვთ, ზუსტად არ ვიცი რამდენია, ჩვენთან 20 ლარამდე, ისიცკიდევ დაიქვითება (ლაბორატორია, ქალი, 48-52 წლის).
>
> სქესს რაც შეეხება, ქალები ძირითადად მედდები არიან და კვებაზე მუშაობენ და კაცები მაღაროში, განსაკუთრებული არაფერი (მაღარო, მამაკაცი, 33-37 წლის).
>
> ახლა ქალის სამსახური, მაგალითად, მაღარო არ არის. მაგრამ აქვთ ეს სპეციალობა დამთავრებული და სად წევიდნენ აბა?! დამთავრებული აქვს ხალხსა... ძირითადად ქარხანაში საქმდებიან ასეთი ქალები, დისპეჩერებად, მელამპეებად. ანაზღაურება ნაკლებია (მიწისზედა სამუშაოები, მამაკაცი, 53-57 წლის).

გენდერული როლები და ამ როლებთან დაკავშირებული სოციალური მოლოდინები აპელირებს რა ქალზე, როგორც ოჯახის მომვლელ სუბიექტზე, ხოლო მამაკაცზე, როგორც ოჯახის „მარჩენალზე", განსაზღვრავს ქალებისა და კაცების დასაქმების ერთგვარ გენდერულ ნიშას. მივიჩნევთ, რომ სწორედ ამ გენდერული როლებიდან გამომდინარე ყალიბდება მოლოდინები, რომლის მიხედვითაც მამაკაცი, შესაძლოა, ოჯახის რჩენის მიზნით მძიმე სამუშაოს ეწეოდეს, ხოლო ქალმა სამსახურის უპირველეს ფუნქციასთან, ოჯახზე მზრუნველობასთან, შეთავსება/კომბინირება უნდა მოახერხოს. აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია კი, საბოლოო ჯამში, მანგანუმის მადნის მოპოვებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩაბული ადამიანების პოზიციათა გენდერული სეგრეგაციის ახსნის საშუალებას იძლევა.

ზემოთ ნახსენები გარემოებისა და ქართულ სოციუმში ქალისთვის მიწერილი სტერეოტიპული თვისებების გავლენას შეგვიძლია მივაწეროთ ის ფაქტი, რომ რესპონდენტები მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მაღაროში მუშაობისთვის შეუფერებლად მიიჩნევენ. აღსანიშნავია ისიც,

რომ დამოკიდებულებები ამ საკითხის მიმართ გამოკითხულ პირთა სქესის მიხედვით თითქმის არ ვარირებს და უშუალოდ მაღაროში ქალის მუშაობას მიუღებლად/დაუშვებლად მიიჩნევს.

> ქალმა ახლა მაღაროში რა უნდა გააკეთოს, ვერაფერს გააკეთებს. თუ იქნება ცვლის უფროსი და ზედამხედველად თუ შეყვება მუშებს, თორემ სხვას ვერაფერს გააკეთებს. მაღაროში დასაქმებისას უპირატესობას კაცებს ანიჭებენ. (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 53-57 წლის).

რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ მაღაროში მუშაობა, მძიმე და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში სამუშაო პირობების გამო, არავისთვისაა მიზანშეწონილი, განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა, თუმცა, ოჯახისა და თავის რჩენის უკეთესი შესაძლებლობა ჭიათურაში არ არსებობს.

როგორც აღინიშნა, რესპონდენტები ქალებს მაღაროში მუშაობისთვის შეუფერებლად მიჩნევენ, თუმცა ახალგაზრდა მამაკაცების ამ სფეროში დასაქმება შესაძლებლად მიაჩნიათ. მსგავსი ტენდენციის დაფიქსირების მიზეზი კი შეიძლება, ერთი მხრივ, ის ფაქტი იყოს, რომ უშუალოდ მაღაროში მომუშავეებს ქალ მაღაროელებთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, აღნიშნული ვითარების განმაპირობებელად წინასწარგანწყობები და ქართველი ქალის, როგორც ნაზი „ქმნილების", შესახებ არსებული წარმოდგენები მოგვევლინოს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გამოკითხული ადამიანები ახალგაზრდების მაღაროში დასაქმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევენ დასაშვებად, როდესაც სხვა გამოსავალი, ოჯახის რჩენის სხვა გზა არ არსებობს. თავიანთი პოზიციის დასადასტურებლად კი რთულ სამუშაო პირობებისა და ამ სფეროს სპეციფიკის შესახებ საუბრობენ.

პირადი გამოცდილება სამუშაო ადგილზე

გამოკითხულმა რესპონდენტებმა დასაქმებამდე სპეციალური ტრენინგი გაიარეს, ზოგიერთ მათგანს კი უკვე ჰქონდა ტექნიკური განათლების მიღების დამადასტურებელი ცნობა, რამაც ისინი დამატებითი სწავლების აუცილებლობისგან გაათავისუფლა. დამხმარე ქარხნებში დასაქმებულმა ქალებმაც, მუშაობის დაწყებამდე, სპეციალური მომზადების კურსი გაირეს. თუმცა, ამ შემთხვევაში, დამსაქმებლებმა მეტი ყურადღება მიაქციეს კანდიდატის სამსახურეობრივ კომპეტენციასა და გამოცდილებას. აღნიშნული ვითარების განმაპირობებელ მიზეზად კი ის ფაქტი შეგვიძლია დავასახელოთ, რომ „ჯორჯიან მარგანეზის" მიერ დასაქმებული ქალები თეთრსაყელოიანი მუშახელის მოვალეობას ასრულებდნენ, ამიტომ ამ შემთხვევაში დიდი ყურადღება მიექცა სათანადო ცოდნას. მაშინ, როდესაც მაღაროელების დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს შესაბამისი სწავლების კურსის გავლა, ანუ საჭირო უნარების გამომუშავების პროცესი, წარმოადგენდა.

მაღაროებში მომუშავეები თავიანთი სამუშაო პირობების დახასიათებისას ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ამ სფეროში მუშაობა გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იცნობენ უსაფრთხოების წესებს და თანმიმდევრულად იცავენ მათ, აღნიშნული საფრთხისგან თავის დაცვა დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს სირთულეებიკი უმეტეს-

წილად მაღაროში (სამუშაო პროცესის განმავლობაში) მოძველებულ ტექნიკისა და ხელსაწყოების გამოყენებას უკავშირდება.

გამომდინარე იქიდან, რომ თეთრსაყელოიანი მუშახელს ფიზიკურად მუშაობა არ უწევს, მოსალოდნელია, რომ მათი აღჭურვილობა ნაკლებად დაზიანდება, შესაბამისად, მათთვის ეს პრობლემა (ლურჯსაყელოიან მუშახელთან შედარებით) ნაკლებად აქტუალურია. საჭირო ქიმიური რეაქტივებით მომარაგებაკი დამსაქმებლის ინტერესებში შედის, ვინაიდან, მათ გარეშე ლაბორატორია ვერ იმუშავებს და წარმოების პროცესიც შეფერხდება.

სხვა თანამშრომლებისადმი დამოკიდებულებაზე რესპონდენტთა უმრავლესობა მეგობრულად, დადებითად აფასებს. მათთვის მძიმე შრომითი პირობები და დაბალი ხელფასები არის ის გარანტი, რის გამოც ერთად უნდა დადგნენ და დაეხმარონ ერთმანეთს გაჭირვებისა და საფრთხის არსებობის შემთხვევაში. მათთვის, მაშინ, როცა დამსაქმებელი არ ზრუნავს კვებაზე, უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობაზე, ერთმანეთზე არაფორმალური ზრუნვა, კოოპერაცია, ერთად დგომა არის გამოსავალი იმისათვის, რომ გადარჩნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამშრომლების დამოკიდებულება არ განსხვავდება სქესის ნიშნით. თუმცა, ჩვენი აზრით, ქალებთან დამოკიდებულება უფრო დისტანცირებულია, ვიდრე კაცებთან. მათთვის ქალი მაინც ადამიანია, რომელიც მაღაროს ზემოთ უნდა იყოს და თავისი, `ქალური", საქმე აკეთოს. მაგრამ სოციალური გაჭირვება თითქოს აქრობს სქესსა და გენდერს.

> არა მგონია აქ ურთიერთობას სქესი განსაზღვრავდეს, ყოველ შემთხვევაში ჩემი მხრიდან ნამდვილად არაა ასე. კარგი ურთიერთობა მაქვს როგორც კაცებთან, ასევე ქალებთან (ლაბორატორიის თანამშრომელი, ქალი, 33-37 წლის).

ერთ პასუხში ასევე გამოიკვეთა სამსახურში სექსუალური შევიწროვების მსუბუქი შემთხვევა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ავტორიტეტადკაცი, საქმრო, მოიყვანეს, ეს ფაქტი აღარ განმეორებულა.

> ვფიქრობ, კარგად არიან განწყობილი ჩემს მიმართ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ერთი-ორი რაღაცას ცდილობდა, თუმცა რომ ავუხსენი რომ საქმრო მყავს, დამანებეს თავი (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 28-32 წლის).

> გენდერული და/ან სექსუალური შევიწროება შეიძლება განისაზღვროს როგორც პირდაპირი დისკრიმინაცია. ფიცჯერალდის თანახმად, სექსუალური შევიწროება შრომის ბაზარზე მას შემდეგ არსებობს, რაც ქალებმა მუშაობა დაიწყეს (ფიცჯერალდი 1993).

რაც შეეხება დეკრეტულ შვებულებას, ასეთი რამის დიდი გამოცდილება არ არსებობს საწარმოში, მაგრამ რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, ეს პრობლემა არ ყოფილა.

> არა, მე არ შემხვედრია და ერთი იყო თანამშრომლებიდან დეკრეტში მარტო. პრობლემები არ შექმნია, როგორც ვიცი (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 53-57 წლის).

> ვიყავი რამდენჯერმე დეკრეტულ შვებულებაში, არ შემქმნია პრობლემები. უპრობლემოდ ვისარგებლე დეკრეტულით (ლაბორატორიის უფროსი, ქალი, 38-42 წლის).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰიგიენური ნორმებისა და კვების საკითხები, რადგანაც ეს საკითხები იმდენად ბაზისური და ამასთანავე აუცილებელია, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მასთან წვდომა. რესპონდენტთა პასუხებში ჰიგიენის შესახებ, აშკარად იკვეთება გენდერული განსხვავებები. რადგანაც თუ კაცები ჰიგიენურ ნორმებს ახასიათებენ, როგორც სავალალოს, ან ნორმალურს, ქალებისთვის ის დამაკმაყოფილებელია და ზოგჯერ ძალიან კარგიც კი. ეს განსხვავება შეიძლება თავად ქალის სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელიც მუდმივად ალაგებს და რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად დასუფთავება განიხილება.

> ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია, ქალების ტუალეტი ცალკეა და კაცების ცალკე. სისუფთავე და ჰიგიენა დაცულია (ლაბორატორიის თანამშრომელი, ქალი, 33-37 წლის).

თუმცა, ფაქტი ის არის, რომ კომპანია სრულად არ ზრუნავს ჰიგიენურ ნორმებზე, რაც დასაქმებულები სფუნდამენტური უფლების კიდევ ერთი დარღვევაა.

რაც შეეხება სამუშაო გრაფიკსა და ზეგანაკვეთურ შრომას, აქაც გამიკვეთა გენდერული განსხვავებები. მაშინ, როცა ქალი რესპონდენტები ან საერთოდ არ ასრულებენ ზეგანაკვეთურ შრომას, ან თუ ასრულებენ, დამატებით ხელფასსაც იღებენ, კაცების შემთხვევაში პირიქით, არ უნაზღაურდებათ ზეგანაკვეთური სამუშაო.

> შრომის კოდექსით გვეკუთვნის 7 საათი მუშაობა, მაგრამ რეალურად გამოგვდის 8-9 საათი. იქ რაღაც მოხდება, სანამ სმენას გადააბარებ, ხან ვიღაც დააგვიანებს და ასე (მაღაროელი, კაცი, 38-42 წლის).

თუმცა ქალების შემთხვევასა და პასუხებში, ძალიან დიდი იყო თავად ლაბორატორიის უფროსის გავლენა: მათი პასუხები ძირითადად მორგებული იყო მასზე და ცდილობდნენ თანამდებობრივად მაღლა მდგომი თანამშრომლისთვის სასურველი პასუხები გაეცათ.

აღსანიშნავია, რომ ქალი დასაქმებულები არ საუბრობენ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე, `შუშის ჭერსა" და სხვა დაბრკოლებებზე, რომლებსაც ქალები ყოველდღიურად აწყდებიან სამუშაო ადგილას, თუმცა სრულიად სხვა ვითარებაა საბაგიროსა და მაღაროში, სადაც ისედაც ძალიან სავალალო და ცუდი მდგომარეობაა. აქ ფაქტობრივად შეუძლებელია დაწინაურება, რადგანაც განწირული ხარ, რომ იყო მუშა. დასაქმებულთა უმრავლესობა საწარმოში მოდის ახალგაზრდა ასაკში, დამსაქმებელი არ ზრუნავს მის პროფესიულ გადამზადებაზე, შესაბამისად, მას სწირავს იმისთვის, რომ ჩავიდეს მაღაროში და იმუშაოს ფიზიკურად.

ერთ-ერთი მაღაროელი საუბრობს იმაზეც, რომ საწარმოს ხელმძღვანელობას არ უყვარს, როცა აკრიტიკებენ, შესაბამისად ამითაა გამოწვეული მისი არდაწინაურება. ეს ფაქტიც საკმაოდ ბუნებ-

რივია, რადგან დამსაქმებელს არ აწყობს აჯანყებული მუშახელი, რომელმაც შეიძლება გაფიცვა წამოიწყოს. მას უყვარს დაბალანაზღაურებადი, მაგრამ მუდამ ჩუმი მუშა, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის სამუშაოს.

> სპეციალისტი არ ხარო და რაღაც თანამდებობებზე უარს მეუბნებიან. ჩემი აზრით, იმიტომ, რომ თითქმის ყოველთვის ოპოზიციაში ვარ, ვერ ვურიდგები უსამართლობას (მაღაროელი, კაცი, 48-52 წლის).

შესაბამისად, მაშინ, როცა საწარმო მუდმივად ცდილობს მუშათა დამცირებასა და დაშანტაჟებას, მუშები ხმამაღლა ვერ საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა რეალურად როგორც საწარმოში, ასევე ლაბორატორიაში. გარდა ამისა, ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერული დისკრიმინაცია და ჩაგვრა, კვლავ უხილავი და შეუმჩნეველია, როგორც კაცების, ასევე ქალების დიდი ნაწილის მხრიდან.

სირთულეები

რაც შეეხება ანაზღაურებას, `ჭიათურის მარგანეზის" თანამშრომლების ნაწილი აცხადებს, რომ იმ მძიმე სოციალური რეალობის ფონზე, რომელიც ჭიათურასა და ზოგადად, საქართველოშია, მათი ხელფასები დამაკმაყოფილებელია. `ჭიათურის მარგანეზი" არის ერთადერთი საწარმო ქალაქში, შესაბამისად, ალტერნატივები არ არსებობს.

მეორე ნაწილის თქმით, კი მათი ხელფასები ძალიან დაბალია და არ შეესაბამება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, თუ რამდენად დიდ რისკებთანაა დაკავშირებული მათი სამუშაო, რამდენად დიდი შანსია იმისა, რომ ან დაშავდნენ, ან დაიღუპონ, მაშინ მუშათა საშუალო ხელფასი ნამდვილად დაბალი მოგვეჩვენება.

> მაღაროებშიც არ არის კარგი ანაზღაურება, მაგათზე მეტი აქვთ უცხოელებს უცხოეთში. ჩვენც რა გვაქვს ახლა ანაზღაურება არაფერი... ჩვენ მართალია ფიზიკურად არ ვშრომობთ, მაგრამ გონებრივად მუშაობა ხომ გვიწევს და ძალიან დაბალი ხელფასი გვაქვს. მეტი ანაზღაურება უნდა იყოს იმიტომ, რომ ეს სამუშაო, საერთოდ, მძიმეში ითვლება, როგორც გონებრივად დატვირთული. (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 53-57 წლის).

სამუშაო და ოჯახი

ჭიათურაში მძიმე სოციალური ფონია. ამიტომაც, ისედაც მცირე ხელფასის და ლარის კურსის დევალვაციის პირობებში დასაქმებულთა უმრავლესობა ოჯახის რჩენაში, ბანკების ვალების გადახდასა და მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ხარჯავს. ასევე დიდი დარტყმა იყო ჭიათურისთვის ის 4 თვე, როცა საწარმო გაჩერებული იყო.

> ჩემი მეუღლეც მუშაობს მაღაროში. შვილი ერთი გათხოვილი მყავს, უმუშევარია, პატარა ბავშვიანი და ბიჭი თბილისში მყავს, იქით მუშაობს. ჩემი შემოსავლით შვილებსაც ვეხმარები. აბა, მშობელი შვილებს მიეხმარება, აბა რა იქნება?! ბანკებში ვართ გახვეულები და იქ ვხარჯავთ ძირითადად თანხას (სატრანსპორტო სამსახური, ქალი, 58-62 წლის).

რაც შეეხება კერძო და საჯარო სივრცეების ერთმანეთთან შეთავსებას, გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ იმდენად მძიმე სამუშაო პირობები აქვთ, რომ ვერ ახერხებენ კერძო სივრცის სათანადოდ ათვისებას, რადგანაც სტრესული გარემო, მძიმე ფიზიკური დატვირთვა და ა.შ არ აძლევთ საშუალებას, რომ იყვნენ ოჯახთან, ან შეასრულონ სხვა სოციალური საქმიანობები.

> უფრო მეტად, ფაქტიურად, სამსახურში გვიწევს ყოფნა, მაგრამ შეძლებისდაგვარად სახლშიც ვცდილობ რომ გავჩერდე, თუ მოვახერხე. 2-3 საათზე მეტხანს ვერ ვახერხებ, ცვლიდან რომ მივდივარ მთელი დღე მძინავს, მერე ისევ სამუშაოდ მივდივარ (მაღაროელი, კაცი, 23-27 წლის).

> როცა მცალია მაშინ სულ სახლში ვარ ოჯახთან, სხვა რამე ძაან რომ გინდოდეს ამ ქალაქში, მაინც ვერ იზამ, ამიტომ ეგ არაა დიდი პრობლემა, მაგრამ ფაქტობრივად სულ ძალიან დაღლილი ვარ (მაღაროელი, კაცი, 38-42 წლის).

გამოკითხულთა ნაწილი კი კარგად ახერხებს სამსახურისა და საოჯახო საქმეების ერთმანეთთან შეთავსებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა არიან ქალები, რომელთაც არ აქვთ მძიმე ფიზიკური დატვირთვა, განსხვავებით მაღაროელი კაცებისაგან. გარდა ამისა, ქალთა სოციალური როლიდან გამომდინარე, საწარმოში დასაქმებული ქალები თავიანთ ვალდებულებად მიიჩნევენ, რომ დაალაგონ სახლი, მოუარონ ბავშვებს და ა.შ.

> როდესაც სამსახურში არ ვარ, სულ სახლში ვარ. მგონი, ვახერხებ იმას, რომ სახლის საქმეებსაც მივხედო და თან ვიმუშაო. (ქალი, ლაბორატორია, 38-42 წლის).

სამუშაო, რომელსაც ქალები სახლში ასრულებენ, იმდენად შეუმჩნეველი და უხილავია, რომ მას ყველა თავისთავადად თვლის და მიიჩნევს, რომ ქალის მოვალეობაა დალაგება, რეცხვა, ოჯახზე ზრუნვა, თუმცა, რადგან უხილავთან ერთად, იგი აუნაზღაურებელიცაა, ყველაზე დაუფასებელია. პატრიარქალურ კულტურაში ქალთა ორმაგი ექსპლუატაცია ნორმა და აუცილებლობაა. შესაბამისად, რესპონდენტთა პასუხებიც არ არის აღმოჩენა, სადაც ქალი, პირველ რიგში, იკვეთება როგორც დედა და ოჯახზე მზრუნველი.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურაში მძიმე სოციალური და შრომითი პირობებია. შესაბამისად, `ჭიათურის მარგანეზშიც" სავალალო მდგომარეობაა: არ არსებობს სათანადო აღჭურვილობა, ხშირია სამუშაო ადგილას სიკვდილის შემთხვევები, დაბალია ხელფასები და ზეგანაკვეთური სამუშაოც იშვიათად ნაზღაურდება. ამის ფონზე კი სახელმწიფო სრულ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს. რაც შეეხება უშუალოდ ქალების საჭიროებებსა და პრობლემებს, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის, რომ გარკვეული სფეროებიც კი, სადაც ცუდი სამუშაო პირობებია, ქალებისთვის დახურულია.

მოსახლეობის დასაქმების სპეციფიკაში სამუშაოს გენდერული ნიშნით გადანაწილება შეიმჩნევა. კერძოდ, რესპონდენტთა ცნობით, ქალები ძირითადად სასწავლო დაწესებულებებში არიან დასაქმებულნი, კაცები კი მაღაროებში. დასაქმების სფეროები მანგანუმის მომპოვებელ ქარხნებში, ზოგადად ქალაქში არსებული სიტუაციის ანალოგიურია და გენდერის მიხედვითაა დაყოფილი. რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები ძირითადად თეთრსაყელოიანი მუშახელის ამპლუაში არიან წარმოდგენილნი, ხოლო მამაკაცები –მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ყველაზე მაღალი ანაზღაურება მანგანუმის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში, თუ მმართველ თანამდებობათა მაღალ თანმდებობებს არ ჩავთვლით, გვირაბგამყვანებს აქვთ, აქ კი მხოლოდ მამაკაცები არიან დასაქმებულნი. ქართულ სოციუმში ქალისთვის მიწერილი სტერეოტიპული თვისებებიდან გამომდინარე, რესპონდენტები მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მაღაროში მუშაობისთვის შეუფერებლად მიიჩნევენ. აღსანიშნავია ისიც, რომ დამოკიდებულებები ამ საკითხის მიმართ გამოკითხულ პირთა სქესის მიხედვით თითქმის არ ვარირებს და უშუალოდ მაღაროში ქალის მუშაობას დაუშვებლად მიიჩნევს. თუმცა, აღინიშნა ისიც, რომ მაღაროში მუშაობა, მძიმე და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში სამუშაო პირობების გამო, არავისთვისაა მიზანშეწონილი, განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა, მაგრამმძიმე სოციალური პირობებისა და ალტერნატივის არარსებობის გამო, ისინი იძულებულები არიან დათანხმდნენ მსგავს სამუშაოს.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ რესპონდენტები დამსაქმებელთან ურთიერთობისას რაიმე სახის დისკრიმინაციას არ წაწყდომიან. მსგავსი სიტუაცია შეიძლება იმ ფაქტით იყოს განპირობებული, რომ ფიზიკური შრომით დაკავებულ რესპონდენტებს ნაკლებად აქვთ ურთიერთობა დამსაქმებლებთან, ლაბორატორიებსა და სატრანსპორტო სექტორში მომუშავე ადამიანებს კი - დასასაქმებლად გასაუბრებაზე დასწრება არ დასჭირვებიათ. გარდა ამისა, რესპონდენტთაგან არც ერთი არ შეჭრილა „სქესისთვის შეუსაბამო" სფეროში.

თუმცა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ დასაქმებული ქალი, მამაკაცისაგან განსხვავებით, ორმაგად ექსპლუატირებული და დაუფასებელია.

ბიბლიოგრაფია

გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში. (2015). თბილისი: CSS.http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=93&info_id=1043.

დასაქმება და უმუშევრობა. 2016. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo.

ზურაბიშვილი, თ. 2006. „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში". თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ქალი და კაცი საქართველოში. 2008. თბილისი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტა-ტისტიკის დეპარტამენტი. http://www.parliament.ge/files/648_11140_562714_1-geo.pdf 40.

Damaske, S. (2011). How Class and Gender Shape Women's Work. Oxford: Oxford University Press.

Damaske, S. (2011). „A „major career woman?' How women develop early expectations about work". Gender and Society, 25(4), 409-430.

Joekes, S. (1995). Trade-Related Employment For Women In Industry And Services In Developing Countries. Geneva: UNRISD.

სქოლიო

1 მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ანი ნიქაბაძისა და ნათია ქარჩილაძის იმავე სახლწოდების საბაკალავრო კვლევის მოდიფიკაციას.

2 ლურჯსაყელოიანი მუშახელი არის ფიზიკურად მომუშავე პროფესიონალი, რომელსაც აცვია პროფესიული უნიფორმა და რომელსაც მიეკუთვნებიან მძიმე ინდუსტრიაში უშუალოდ დასაქმებული ადამიანები.

3 ნიკლაური, ე. (2015). შარშან სამუშაო პროცესის დროს 41 ადამიანი გარდაიცვალა. მოძიებულია 08.04.2016http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=24383.

4 თეთრსაყელოიანი მუშახელი არის საუკეთესო განათლების მქონე მაღალანაზღაურებადი პროფესიონალი, რომლის სამუშაო არ არის ფიზიკური და არ აცვია პროფესიული უნიფორმა.